პროექტი საპარი (Project Sapar)

მდებარეობა:	ყაზახეთი
პროექტის ნომერი:	56993
ბიზნესის სექტორი:	ტრანსპორტი
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	B
დამტკიცების თარიღი:	9 სექტემბერი, 2026
სტატუსი:	გაიარა სტრუქტურული განხილვის ეტაპი, ელოდება საბოლოო მიმოხილვას

პროექტის აღწერა

ბანკი კონვერტირებად სესხს („სესხი“) გამოუყოფს Jet Group Ltd-ს („კომპანია“), ყაზახეთში დაფუძნებულ მიკრომობილობის ოპერატორს, რომელიც საქმიანობას ცენტრალურ აზიაში, კავკასიასა და ლათინურ ამერიკაში ახორციელებს. დაფინანსება მოხმარდება: (i) ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში კომპანიის ორბორბლიანი ელექტროტრანსპორტის პარკის გაფართოებას და (ii) Jet-ის საკუთრებაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების თანადაფინანსებას.

პროექტის მიზნები

პროექტი ხელს უწყობს კომპანიის საქმიანობის გაფართოებას EBRD-ის საოპერაციო ქვეყნებში, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას დაბალემისიიან, პირველი და ბოლო მილით მგზავრობის ურბანულ გადაწყვეტებზე, ამასთანავე, ხელს უწყობს საცობების შემცირებასა და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში. პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს

კომპანიის საოპერაციო ეფექტიანობას, მომსახურების ხარისხსა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 65

კარგად მართული (ძირითადი): მხარს უჭერს კორპორაციული მმართველობისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

კონკურენტუნარიანი (მეორადი): ზრდის კონკურენტუნარიანობას ავტოპარკის გაფართოებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების გზით, რაც გაზრდის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს მასშტაბირებად ზრდას.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

JET GROUP LTD

კომპანია წარმოადგენს ჰოლდინგურ ერთეულს, რომელიც დაარსდა 2021 წელს და რეგისტრირებულია ყაზახეთის ქალაქ ასტანას საერთაშორისო ფინანსურ ცენტრში. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მიკრომობილური სატრანსპორტო საშუალებების (ელექტრომობილებისა და ელექტროველოსიპედების) მოკლევადიანი გაქირავებაა. ის მართავს 75 000-ზე მეტ მიკრომობილურ მოწყობილობას და აერთიანებს ბიზნესებს ათ ქვეყანაში და 90-ზე მეტ ქალაქში ცენტრალურ აზიაში, კავკასიასა და ლათინურ ამერიკაში.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

10,000,000.00აშშ დოლარი.

10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კონვერტირებადი სესხი, 7 წლამდე ვადით. სესხი გულისხმობს აქციებში კონვერტაციის შესაძლებლობას.

პროექტის მთლიანი ღირებულება

10,000,000.00 აშშ დოლარი.

პროექტის მთლიანი ღირებულება 10 მილიონი აშშ დოლარია, სრულად ფინანსდება EBRD-ის მიერ.

დამატებითი ფაქტორები

დაფინანსების სტრუქტურა. EBRD-ის დაფინანსება ხელს უწყობს დაფინანსების დეფიციტის შევსებას და კომპანიას საშუალებას აძლევს, გააფართოოს თავისი ოპერაციები და განახორციელოს გაფართოების სტრატეგია EBRD-ის საქმიანობის ქვეყნებში.

სტანდარტების დადგენა: კორპორაციული მართვა. EBRD-ის მხარდაჭერა ხელს უწყობს კორპორაციული მართვის პროცესს კორპორაციული მართვის სამოქმედო გეგმის (CGAP) განხორციელების გზით. გეგმა ითვალისწინებს ჯგუფის მასშტაბით მართვის სტრუქტურების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშგების სტრუქტურის მკაფიოდ განსაზღვრას, დირექტორთა საბჭოს შემადგენლობისა და ზედამხედველობის გაუმჯობესებას, ასევე ძირითადი პოლიტიკისა და შიდა კონტროლის ფუნქციების დანერგვას (მათ შორის, რისკების მართვის, შესაბამისობისა და გამჭვირვალობის პრაქტიკას), რაც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას უწყობს ხელს.

ცოდნა, ინოვაცია და შესაძლებლობების განვითარება. EBRD უზრუნველყოფს დამატებით მხარდაჭერას კომპანიის ოპერაციული შესაძლებლობებისა და შიდა სისტემების გასაძლიერებლად, მათ შორის ციფრული ტრანსფორმაციის გზით, რაც გულისხმობს მიმდინარე საქმიანობის შეფასებას, ციფრული შესაძლებლობების გაფართოებასა და სტრატეგიული გზამკვლევის შემუშავებას, რათა გაუმჯობესდეს ეფექტიანობა, მასშტაბირება და პლატფორმის ფუნქციონირება სხვადასხვა ბაზრებზე.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია B (ESP 2024). საერთო მიკრომობილობის სერვისების (ელექტრონული სკუტერების) ოპერირებასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სოციალური (E&S) რისკები და ზეგავლენა მცირეა, შექცევადია და მათი შემცირება შესაბამისი მართვის ზომებით მარტივადაა შესაძლებელი, რადგან რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები ან ფართომასშტაბიანი განვითარება მოსალოდნელი არ არის. გარემოს დაცვისა და სოციალური შესაბამისობის შეფასება (ESDD) დამოუკიდებელი კონსულტანტების მხარდაჭერითა და კომპანიის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის შიდა განხილვის საფუძველზე განხორციელდა. შეფასების სფერო მოიცავდა კომპანიის ძირითად მიკრომობილობის ოპერაციებს სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში, ასევე მასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მათ შორის: სატრანსპორტო პარკის მართვას, ტექნიკური მომსახურების ობიექტებს, ელემენტების დამუხტვასა და შენახვას, ლოგისტიკასა და ტრანსპორტის გადანაწილების ოპერაციებს, ციფრულ პლატფორმებს, შესაბამის დამხმარე ობიექტებს — როგორიცაა საწყობები და სერვისცენტრები — და მიწოდების ჯაჭვის ცალკეულ ასპექტებს, მათ შორის, სკუტერებისა და ელემენტების შესყიდვას. ელექტრო სკუტერებში გამოყენებული დატენვადი აკუმულატორების მიწოდების ჯაჭვის წინასწარი კვლევა (SCDD) ჩატარდა ბანკის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად და მიმდინარე წლის დასაწყისში საბჭოსთვის ელემენტების მართვის მიდგომის სახით მიწოდებული განახლებების შესაბამისად. SCDD ფოკუსირებული იყო კომპანიის შესყიდვების სისტემებსა და ელექტრო სკუტერების მწარმოებელზე. გარე ESDD კონსულტანტმა დაადასტურა, რომ კომპანიის მიმწოდებლის

დეკლარაცია მოიცავს ვალდებულებებს ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის არარსებობის, თანაბარი ანაზღაურების, ოპერაციული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (OHS), გარემოს დაცვის შესაბამისობისა და მიწოდების ჯაჭვის სათანადო შემოწმებასთან დაკავშირებით. მომწოდებლების პროცესის მეტი გამჭვივალობის მიღწევის მიზნით, პროექტის ფარგლებში, კომპანია მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემის ინტეგრირებას უზრუნველყოფს.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შესწავლასთან (ESDD) ერთად, პარალელურად ჩატარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლაც (IT Due Diligence), რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კიბერუსაფრთხოებასა და მონაცემთა მართვის ასპექტებს, რაც ასევე უკავშირდება გარემოს დაცვისა და სოციალურ რისკებს. კომპანიამ შეიმუშავა ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი პოლიტიკა და პრაქტიკა, რაც, სხვა კორპორაციულ შრომით მოთხოვნებთან ერთად, მოიცავს წერილობით ხელშეკრულებებს, ხელფასების დროულ გადახდას, დასაქმებულთა საჩივრების განხილვის მექანიზმსა და თანამშრომლების სამედიცინო დაზღვევას. თუმცა, გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) კომპანიისგან მოითხოვს დარჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას, რაც ეხება ახალი კადრების ოფიციალურ დანიშვნას, დოკუმენტების კონტროლს, სამუშაო და ზეგანაკვეთური საათების აღრიცხვას, დასაქმებულებთან სტრუქტურირებულ კონსულტაციებს, არსებული პოლიტიკის გადახედვასა და გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

გარემოს დაცვისა და სოციალური შესაბამისობის შეფასება (ESDD) მოიცავდა ბაზრის, რეგულაციებისა და საოპერაციო საქმიანობის ანალიზს, მათ შორის, საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების შეფასებებს. დაინტერესებული მხარეების მხრიდან რაიმე არსებითი პრეტენზია ან პროტესტი არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობის პერიოდში გაგრძელდება საზოგადოებასთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გასაჯაროება, ხოლო წამოჭრილ საკითხებზე რეაგირება მოხდება საჩივრების განხილვის არსებული მექანიზმების საშუალებით. პროექტი ხორციელდება მრავალქვეყნიან ურბანულ კონტექსტში, სადაც გარემოს დაცვისა და სოციალური საწყისი პირობები, ისევე როგორც საზოგადოების მგრძნობელობა უსაფრთხოებისა და საქალაქო სივრცის გამოყენების მიმართ, სხვადასხვაგვარია. კომპანიის საქმიანობის სწრაფი გაფართოება ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერებას მოითხოვს, თუმცა მიმდინარე საოპერაციო პროცესები, ზოგადად, დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამის კარგ პრაქტიკას აჩვენებს, მათ შორის, უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების კუთხით. ESDD-იმ დაადასტურა პროექტის ძირითადი გარემოს დაცვისა და სოციალური რისკები და შეაფასა პოტენციური ზეგავლენა. მათ შორისაა: მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს ელექტროსკუტერების მომხმარებლებსა და მესამე პირებზე; საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების რისკები, რომლებიც განპირობებულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურითა და ქცევით; საოპერაციო პერსონალის პროფესიული რისკები; სისტემის ფრაგმენტაციასთან დაკავშირებული საოპერაციო და მმართველობითი რისკები; მონაცემთა დაცვისა და კიბერუსაფრთხოების რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ციფრულ პლატფორმებზე დამოკიდებულებასთან; მიწოდების ჯაჭვის რისკები, განსაკუთრებით ელემენტებისა და აღჭურვილობის შემთხვევაში; და რეპუტაციული რისკები, რომლებიც უკავშირდება ელექტროსკუტერების უსაფრთხოების შესახებ საზოგადოებრივ აზრს. დამხმარე ობიექტებთან — მათ შორის ტექნიკური მომსახურების ცენტრებთან, საწყობებთან და დამტენ

ინფრასტრუქტურასთან — დაკავშირებული რისკები, განსაკუთრებით სახანძრო უსაფრთხოებისა და ნარჩენების მართვის კუთხით, მართვადია სათანადო კონტროლის მექანიზმების გამოყენებით.

პროექტი EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, მათ შორის ევროკავშირის მოქმედ გარემოს დაცვის სტანდარტებთან შესაბამისად დაიგეგმება. ამ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს ESAP-ის განხორციელება. ESAP განსაზღვრავს რისკების შემცირებისა და შესაბამისობის მიღწევის ღონისძიებებს. ეს ღონისძიებები მოიცავს გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას, საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების მართვის გაუმჯობესებას, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურირებული პროცედურების შემუშავებას, გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგისა და ანგარიშგების გაძლიერებას. გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებს მონაცემთა დაცვისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ინტეგრირებას, მიწოდების ჯაჭვისა და კონტრაქტორების მართვის ფორმალიზებას, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, ურბანული მობილობის უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას, მესამე მხარის საჩივრების განხილვის სტრუქტურების არსებობას და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ინიციატივებს. ამ ზომების გატარება უზრუნველყოფს EBRD-ის მოთხოვნებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დაცვას. ბანკი პროექტის მონიტორინგს განახორციელებს ყოველწლიური გარემოს დაცვისა და სოციალური (E&S) ანგარიშგების, გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) შესრულების პერიოდული განხილვისა და კლიენტთან მუდმივი თანამშრომლობის გზით. კლიენტის მხარდასაჭერად და ESAP-ის განხორციელების ხელშესაწყობად მოწვეული იქნება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების დამოუკიდებელი კონსულტანტი.

მწვანე შეფასება

პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობა

პროექტი მიჩნეულია პარიზის შეთანხმების როგორც შერბილების, ისე ადაპტაციის მიზნებთან შესაბამისად, რაც ეფუძნება EBRD-ის პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობის მიდგომას პირდაპირი დაფინანსების ინვესტიციებისთვის.

პროექტი შეესაბამება პარიზის შეთანხმების კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნებს, რადგან ის შეყვანილია განვითარების მრავალმხრივი ბანკების (MDB) ერთობლივ თავსებადობის ნუსხაში სამგზავრო ელექტროტრანსპორტის კატეგორიით. ამასთანავე, იგი აკმაყოფილებს ევროკავშირის ტაქსონომიის არსებითი წვლილის კრიტერიუმებს პერსონალური გადაადგილების საშუალებების ექსპლუატაციისა და ორბორბლიანი ლოგისტიკის სფეროში, სადაც ელექტრონული სკუტერები და ელექტროველოსიპედები ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე პერსონალური გადაადგილების საშუალებებად არის მიჩნეული.

პროექტი შეესაბამება პარიზის შეთანხმების ადაპტაციის მიზნებს, ვინაიდან არ არსებობს მნიშვნელოვანი ფიზიკური კლიმატური რისკები და ის არ ეწინააღმდეგება ადაპტაციის ეროვნულ პოლიტიკას ან უფრო ფართო სისტემის კლიმატისადმი მდგრადობას.

მწვანე დაფინანსების განსაზღვრა

EBRD-ის დაფინანსების 100% მწვანე დაფინანსებაა, ვინაიდან ის მხარს უჭერს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას. კლასიფიკაცია ხორციელდება EBRD-ის ინვესტიციების მწვანე დაფინანსებად მიკუთვნების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

ხელმოწერამდე:

TC 1: საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ციფრული მიმართულების კომპლექსური შეფასება (Due Diligence) ტექნიკური გამართულობის დასადგენად და ციფრული განვითარების გზამკვლევის შესამუშავებლად, რაც მიზნად ისახავს კომპანიის ციფრული მდგრადობის, კიბერუსაფრთხოებისა და ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებას, აგრეთვე საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას. 75 000 ევროს ღირებულების პროექტი ფინანსდება „ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

ხელმოწერის შემდეგ:

TC 2: კორპორაციული მართვის სამოქმედო გეგმის (CGAP) განხორციელება კომპანიის კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად და საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პროექტის სავარაუდო ღირებულება 170 000 ევრომდეა. EBRD-ის მიერ დაფინანსების წყაროების დაზუსტების შემდეგ, პროექტი კომპანიასთან თანადაფინანსებით განხორციელდება.

TC 3: გარემოს დაცვისა და სოციალური ღონისძიებების მხარდაჭერა, რაც მიზნად ისახავს კომპანიის დახმარებას გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმისა (ESAP) და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებაში. ეს ხელს შეუწყობს გარემოს დაცვისა და სოციალური პრაქტიკის გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს შესაბამისობას EBRD-ის სტანდარტებსა და საერთაშორისო მოწინავე გამოცდილებასთან. პროექტის სავარაუდო ღირებულება 150 000 ევრომდეა, ხოლო დაფინანსების წყაროები დაზუსტდება.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

მუსლავ ალიბეკოვი
musalav@jetshr.com +7
778 906 1430
https://jetshr.com/#/en

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-
ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-
თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდებ ა შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-
ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-
ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები.
ESP და PR-
ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩ ივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღე ბისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად,
EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმა ცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებ ითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მი ღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-
ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრ უნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო ს აერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდე ბა კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღ ვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფ იცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტ რანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელ ების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევები ს გამოძიებაზე EBRD-
ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომ ელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარი ში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@e brd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარ იშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშ აო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნ და მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვა რს, განსაზღვრულია EBRD-
ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გ ააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-
ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდ ომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-
ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარ ების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანი

ზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–
ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–
ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-
ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–
ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.